ტექნიკური დავალება
CNF/2024/GA-GEO

ძირითადი ინფორმაცია

სათაური	**ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის, დაბა ახალდაბის (ნეძვის საქმიანი ეზოს) ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები**
პროექტი	"დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში" (GEF/UNDP)
ადგილმდებარეობა:	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ნეძვის აღკვეთილი, ბორჯომის რაიონი, საქართველო, ს/კ 64.21.02.610
ხანგრძლივობა:	მარტი 2024 - ივნისი 2024
კონტრაქტის ტიპი:	საგრანტო ხელშეკრულება
აპლიკაციის პროცედურა	სრული სააპლიკაციო პაკეტი უნდა გაიგზავნოს 2024 წლის 12 მარტამდე შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: recruiting@caucasus-naturefund.org სათაურში უნდა მიეთითოს: „ნეძვის საქმიანი ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობა"
საკონტაქტო ინფორმაცია	მარიამ სულხანიშვილი, კონსერვაციის და სოციალური საკითხების ოფიცერი msulkhanishvili@caucasus-naturefund.org

კავკასიის ბუნების ფონდის შესახებ

კავკასიის ბუნების ფონდი (CNF) წარმოადგენს კონსერვაციის სატრასტო ფონდს, რომელიც შეიქმნა 2007 წელს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) მხარდაჭერითა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW), კონსერვაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (Conservation International) და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი – გერმანიის (WWF Germany) მეშვეობით.

სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს დაცული ტერიტორიების ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობის მიზნით, გრძელვადიანი დაფინანსების და მენეჯმენტის დახმარების უზრუნველყოფით კავკასიის ბუნების ფონდი ხელს უწყობს კავკასიის უნიკალური ფლორის, ფაუნის და ეკოსისტემების კონსერვაციას მომავალი თაობებისთვის და ამავე დროს, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

კავკასიის ბუნების ფონდის მიერ დაცული ტერიტორიების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას საოპერაციო და საკადრო დანახარჯების შევსებით

და შესაძლებლობების გაძლიერებას დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესების მიზნით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ბრაკონიერობა, ხე-ტყის ჭრა და სხვა უკანონო ქმედებებზე რეაგირება, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვანი სახეობების და ბუნებრივი ეკოსისტემების მონიტორინგი, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ტურიზმისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

2019 წლის აპრილიდან კავკასიის ბუნების ფონდი ახორციელებს UNDP/GEF პროექტს „დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში“. აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს დამატებითი შემოსავლის წყაროების გაჩენასა და განვითარებას დაცული ტერიტორიების სისტემისთვის.

პროექტის ჩარჩო

“დაცული ტერიტორიების (PA) სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში“ (GEF/UNDP) არის 5 წლიანი „ტექნიკური დახმარების“ პროექტი, რომელიც ფინანსდება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მეშვეობით.

GEF/UNDP პროექტის მიზანია „საქართველოში სამიზნე დაცული ტერიტორიების გლობალურად მნიშვნელოვანი ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობისა და ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფა“. პროექტის მეშვეობით, GEF-ის დამატებითი მხარდაჭერა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამიზნე დაცული ტერიტორიების ფინანსური მდგრადობისა და მენეჯმენტის ეფექტურობის გაზრდას, ეხმარება საქართველოს მთავრობას გააუმჯობესოს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების სტატუსი დაცული ტერიტორიების ეფექტური სისტემის მართვის გზით.ფინანსური რესურსების გაზრდით, განსაკუთრებით შიდა შემოსავლების და სამიზნე დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის გაუმჯობესებით, პროექტი ხელს შეუწყობს საფრთხეების შემცირებას და გლობალურად საფრთხის ქვეშ მყოფი ბიომრავალფეროვნების ადგილზე კონსერვაციის სტატუსის გაუმჯობესებას.

შესასრულებელი სამუშაოს მონახაზი

შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისთვის, ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაბა ახალდაბის (ს/კ64.21.02.610) ტერიტორიაზე ნეძვის საქმიანი ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება.

შესასრულებელი სამუშაოს მონახაზი თან ერთვის ტექნიკურ დავალებას. გთხოვთ, იხილოთ დანართი 1 (ხარჯთაღრიცხვა) და დანართი 2 (პროექტი).

მისაღები შედეგები/დავალებები:

ნეძვის საქმიანი ეზოს კეთილმოწყობა.

განხორციელების გრაფიკი

ტექნიკური დავალებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს 3 თვის ვადაში.

კონსულტანტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

პრეტენდენტს, საქართველოს ტერიტორიაზე ან/და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე (გარდა იმ ქვეყნის ტერიტორიისა, სადაც რეგისტრირებულია პრეტენდენტი), 2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე უნდა გააჩნდეს არანაკლებ 200 000 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოების განხორციელების გამოცდილება. ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს.

პრეტენდენტმა მოთხოვნილი გამოცდილების დასტურად უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულებ(ები)ა, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი და ანგარიშფაქტურ(ები)ა (არსებობის შემთხვევაში - ვრცელდება ანგარიშფაქტურ(ებ)აზე) ან ანგარიშსწორების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია (საგადახდო დავალება)".

მოთხოვნა პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ

პრეტენდენტმა ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების უზრუნველსაყოფად უნდა გამოყოს პროექტის ხელმძღვანელი და/ან მთავარი ინჟინერი (უშუალოდ სამშენებლო ობიექტზე პასუხისმგებელი პირი), რომელთაც წარმატებით აქვთ განხორციელებული არანაკლებ ორი მსგავსი პროექტი (იგულისხმება საქმიანი ეზოს ტიპის ან მსგავსი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელება).

სასურველია პრეტენდენტს გააჩნდეს:

- საქართველოს დაცული ტერიტორიების ცოდნა;
- საჯარო სექტორთან მუშაობის გამოცდილება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პროექტებთან მუშაობის გამოცდილება და ცოდნა.

მოთხოვნა საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადებთან დაკავშირებით (გეგმა-გრაფიკი)

პრეტენდენტი ვალდებულია თანდართული ფაილის შესაბამისად წარმოადგინოს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90

კალენდარულ დღეს. გეგმა გრაფიკის ცვლილება შესაძლებელია ყველა მხარის შეთანხმების საფუძველზე.

მოთხოვნა პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ

პრეტენდენტმა უნდა აჩვენოს, რომ სხვა კონტრაქტების ფარგლებში საავანსო გადახდების გარდა გააჩნია ან/და ხელი მიუწვდება ფინანსურ რესურსებზე, მათ შორის დამტკიცებული საკრედიტო ხაზი (რომლის შემთხვევაშიც მითითებული უნდა უნდა იყოს დარჩენილი რესურსი და ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ რესურსზე პრეტენდენტს ხელი მიუწვდება ბანკთან დამატებითი შეთანხმებებისა და საკრედიტო კომიტეტზე განხილვის გარეშე). ხელმისაწვდომი რესურსი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს. აღნიშნულის დასტურად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა მომსახურე ბანკიდან.

უცხოური ბანკიდან ცნობის წარმოდგენის შემთხვევაში მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული ცნობის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ქართული ბანკის მიერ გაცემული ცნობა.

მოთხოვნა ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტების შესახებ

სამუშაოების შესრულებისას მიმწოდებლის მიერ გამოყენებული მასალები უნდა აკმაყოფილებდეს იმ სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. აღნიშნულის დამადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოდგინოს ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატ(ებ)ი;

სხვა დამატებითი მოთხოვნები

2019 წლის 1 იანვრიდან, შემსყიდველი ორგანიზაციები და შესყიდვებში მონაწილეობის მსურველები/პრეტენდენტები/მიმწოდებლები „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ვალდებულები არიან, სახელმწიფო შესყიდვებში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, უცხოური საწარმოს/უცხოური საწარმოს ფილიალის/წარმომადგენლობის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ, უცხო ქვეყანაში შედგენილ დოკუმენტზე ხელმოწერები დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის ან შესაბამისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის ხელმოწერა - ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული.

პრეტენდენტის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სატენდერო დოკუმენტაცია უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უფლებამოსილი პირის მიერ.

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

მოთხოვნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის შესახებ

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება უნდა მოხდეს სსიპ ,,აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო აკრედიტაციის ცენტრი''-ს მიერ აკრედიტებული ორგანიზაციის (პირი) დასკვნის საფუძველზე (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი), ან სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით; ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა უნდა დასტურდებოდეს როგორც პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული წინადადების ფასთან (ხარჯთაღრიცხვის ჯამურ ღირებულებასთან), ასევე ხარჯთაღრიცხვის ერთეულებთან მიმართებით.

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა არის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღე.

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

იურიდიული პირისთვის

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

ინდივიდუალური მეწარმისთვის

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

ფიზიკური პირისთვის

ა) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.

ამხანაგობისთვის

ა) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინება, როგორც ამხანაგობის, ასევე მისი მონაწილეების შესახებ.

არარეზიდენტი პირისთვის

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტები გაცემული უნდა თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან და დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

წარმომადგენლობისთვის/ფილიალისთვის

იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმოს წარმომადგენელი ან/და ფილიალი საქართველოში, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება, ძირითადი სპეციალისტები ან/და სხვა), ვალდებულია წარმოადგინოს, როგორც თავისი, ასევე სათაო კომპანიის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

მოითხოვება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია 5 პროცენტი.

სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში მოითხოვება გარანტია 10 პროცენტი.

გარანტიის მოქმედების ვადა

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

გარანტიის პირობები

ხელშეკრულების შესრულების უპირობო და გამოუთხოვადი გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან ს.ს.ი.პ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში. ხელშეკრულების შესრულების უპირობო და გამოუთხოვადი გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს შერჩეული კანდიდატის მიერ უშუალოდ ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

უცხოური ბანკიდან ან/და სადაზღვევო კომპანიიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის'' მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული „კონტრგარანტია“ (ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

ანგარიშსწორების პირობები

წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა და პირობები

საავანსო ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, ასათვისებელი თანხის არაუმეტეს 20%-ის ოდენობით. თუ მიმწოდებლის მიერ ავანსის სახით გათვალისწინებული თანხა ათვისებული იქნება (ერთჯერადად ან ეტაპობრივად) სრული მოცულობით, მომდევნო საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ფარგლებში დარჩენილი თანხის არაუმეტეს 20%-ის ოდენობით შესაძლებელია განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ ავანსის სახით მიცემული თანხა სრულად არის გაქვითული.

ავანსისი მიღების უზრუნველსაყოფად, წინამდებარე ტენდერის ხელშეკრულების ფარგლებში გამოყენებული იქნება საბანკო ან სადაზღვევო კომპანიის (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან) მიერ გაცემული საავანსო უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე) და გამოუთხოვადი გარანტია, სრულ მოთხოვნილ საავანსო თანხაზე რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას. გარანტია გაცემული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტა - ლარში.

საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან ს.ს.ი.პ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში - ლარში. უცხოური ბანკიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან გაცემული „კონტრგარანტია“ (ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების პროპორციულად.

ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

ხელშეკრულების ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს სამი სახის ანგარიშსწორება - საავანსო, შუალედური და საბოლოო;

მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისთვის წარმოადგინოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება ნაზარდი ჯამით. ასევე, ცალკე იყოს გამოყოფილი დღგ-ს თანხა თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება ნაკლებია ხელშეკრულების ღირებულებაზე, ასეთ შემთხვევაში არ წარმოიშობა ხელშეკრულების ღირებულების სრულად გადახდის ვალდებულება;

მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მოახდინოს მისი დადასტურება;

შუალედური ანგარიშწორება ხდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი და შემსყიდველის მიერ დადასტურებული ფორმა N2-ის, ფორმა N3-ის, დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურისა და შესრულებულ სამუშაოზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის, და ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, დადასტურებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით ფორმა N2 და ფორმა N3-ს საფუძველზე, ხარჯთაღრიცხვაში მითითებული ერთეულის ფასების მიხედვით.

ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის დადასტურებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 142 878.29 ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

დეფექტურ აქტში გაუთვალიწინებელი ხარჯებისათვის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შეცვლა დაუშვებელია. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა ან განუფასებლად წარმოდგენა დაზუსტებას არ დაქვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას; ხარჯთაღრიცხვა განუფასებლად ჩაითვლება თუ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს.

დაუშვებელია საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების დასახელების, განზომილებისა და რაოდენობების ცვლილება.

პრეტენდენტმა ხარჯთაღრიცხვა უნდა შეადგინოს და მასში მოცემული პუნქტები განაფასოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N11/251 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლოს სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ'' და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტექნიკური რეგლამენტის ,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის'' შესაბამისად. ერთნაირი დასახელების სამუშაოზე გათვალისწინებული უნდა იყოს ერთნაირი ფასი.

ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე. ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

იმ შემთხვევაში თუ სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული იქნება სასაქონლო ნიშანი, მოდელი, პატენტი ან მწარმოებელი კომპანია, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ტერმინები გამოყენებული არის „მსგავსისა“ და „ექვივალენტურის“ მნიშვნელობით და პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მსგავსი ან ექვივალენტური მახასიათებლების მქონე საქონელი/მომსახურება.

შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე და გამოყენებული მასალების ხარისხზე.

განაცხადის მომზადებისას გაწეული ნებისმიერი ხარჯი ეკისრება განმცხადებელს და არ ანაზღაურდება CNF-ის მიერ.

წარმატებულ აპლიკანტს შეუძლია დამატებითი ქვეკონტრაქტის გაფორმება საჭიროებისამებრ, და მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ნებისმიერ ქვეკონტრაქტზე. დაუშვებელია ყველა საქმიანობის დავალება ერთი ან რამდენიმე ქვეკონტრაქტორისთვის. განაცხადის პაკეტი უნდა შეიცავდეს შემოთავაზებული ქვეკონტრაქტორების გამოცდილების აღწერას და CV-ებს, ასევე "განზრახვის დეკლარაციას", რომელსაც ხელს აწერენ ყველა შემოთავაზებული ქვეკონტრაქტორები, რომელშიც აღწერილი იქნება თანამშრომლობის დაგეგმილი ფორმა, წამყვანი კონსულტანტი, სამუშაოს დაყოფა და ა.შ.

ხელშეკრულების გაფორმება ეფუძნება CNF-ის სატენდერო კომისიის შეფასებას, რომელიც შედგება CNF-ისა და საჭიროების შემთხვევაში, მესამე მხარის წარმომადგენლებისაგან. სატენდერო კომისიას შეუძლია ჩაუტაროს ინტერვიუ ერთ ან მეტ აპლიკანტს მისი შეფასების პროცესის დახმარების მიზნით.

სატენდერო კომისია იტოვებს უფლებას, განმცხადებლების შემდგომი შეტყობინების გარეშე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს პროცესი და არ დადოს რაიმე ხელშეკრულება. ის ასევე იტოვებს უფლებას არ მიიღოს ყველაზე დაბალი ფინანსური შემოთავაზება.

განმცხადებელი იმოქმედებს როგორც დამოუკიდებელი კონტრაქტორი CNF-თან საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში. განმცხადებელი არ იქნება CNF-ის თანამშრომელი და შესაბამისად იქნება პირადად პასუხისმგებელი გადასახადების გადახდაზე კანონმდებლობის შესაბამისად.

დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან. თუ თქვენ არ დაგიკავშირდებიან ტენდერის დახურვის თარიღიდან 2 კვირის განმავლობაში, გთხოვთ, ჩათვალოთ, რომ ამ შემთხვევაში თქვენი წინადადება არ იქნა მიღებული.

განაცხადის წარდგენის წესი

დაინტერესებულმა პირებმა/ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ცნობა ბანკიდან, რომელიც დაადასტურებს გადახდისუნარიანობას;
- სამუშაოების გეგმა გრაფიკი (დანართი 3);
- პროექტის ხელმძღვანელის და/ან ინჟინერის დეტალური CV;
- სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი;
- ორგანიზაციის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დეტალური ფინანსური წინადადება/ხარჯთაღრიცხვა ლარში.